

# 87 წელი თქვენთან ერთად!

87 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი. გამოცემის 88-ე წელი.



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“  
ვახუშტი ბაგრატიონი

# თერჯოლა

სახოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • №14 {7019} 15 ივლისი 2020 წელი • www.Terjola.gov.ge

## ძველი და ახალი სასწავლო წლების გზაშესაყარზე...

კორონავირუსმა მნიშვნელოვანი დარტყმა არა მარტო ეკონომიკას, არამედ ჩვენი ცხოვრების ყველა დარგსა თუ მიმართულებას მიაყენა. მართალია, ექსპერტები ამ ზარალის მოცულობებსაც ასახელებენ, მაგრამ მდგომარეობა ბევრად უფრო მძიმეა და მარტო ცოფრებშიც არ გამოიხატება, განუზომელია ის მორალური-ფსიქოლოგიური ზიანი, რაც თითოეულმა ჩვენგანმა მიიღო. კორონავირუსულმა შემოტევამ არც განათლების სისტემა დაინდო, მაგრამ პანდემიის პირობებში, გარკვეული ხარეზის მიუხედავად 2019-2020 სასწავლო წელი მაინც მივიდა ფინიშამდე. თერჯოლის სინამდვილეში, 2020 წლის 15 ივლისის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სულ სწავლობს 3337 მოსწავლე (აქ არ შედის 2020-2021 სასწავლო წლისთვის დარეგისტრირებული პირველკლასელები, რადგან ამ დროისთვის ინფორმაცია არაა სრულყოფილი).



2

## თანადგომა დევნილებს...

თერჯოლის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ დევნილ ოჯახებს დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორი ბესარიონ სიმონიშვილი, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელ ლაშა გოგიაშვილთან და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ჯანელიძესთან ერთად შეხვდა.



სააგენტოს დირექტორი დევნილთა პრობლემებს პირადად გაეცნო და მათ შეკითხვებს უპასუხა. მან შეხვედრის მონაწილე დევნილებს განსახლების მიმართულებით სააგენტოში არსებული პროექტების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა. სააგენტოს დირექტორის განცხადებით, მიმდინარე წლის ბოლომდე იმერეთის რეგიონში, ქუთაისსა და წყალტუბოში, დევნილ ოჯახებს, ჯამში 385 ბინა გადაეცემა.

დევნილთა სააგენტოს წარმომადგენლებმა იძულებით გადაადგილებულ პირებს საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის მიმართულებით არსებული პროგრამებიც გააცნეს. უახლოეს დღეებში, „დევნილთა ინიციატივების მხარდაჭერის პროგრამა“ დაიწყება, რომლის დახმარებითაც, 65 001-დან 100 001-მდე სოციალური ქულის მქონე დევნილები თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით გრანტებს მიიღებენ.

## გილოცავთ თერჯოლელებო!



2020 წლის 7 ივლისს, ქალაქ თერჯოლაში, შპს „იმერმედში“ („თერჯოლაში“) სამშობიარო სახლი გაიხსნა... გილოცავთ!

3

## სამოქალაქო ბიუჯეტი ანუ „მონაწილეობითი ბიუჯეტი— გზა დემოკრატიისაკენ“

5

## ხანგრძლივმა გვალვამ სიმინდის მოსავალი სათუო გახადა

4



გვალვის შემდეგ, ამ დღეებში, როგორც იქნა განვიმდა...

# ძველი და ახალი სასწავლო წლების გზაშესაყარზე...

2019-2020 სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, კლასიდან კლასში გადავიდა 3335 მოსწავლე; 2019-2020 სასწავლო წელს მე-12 კლასში სწავლობდა 257 მოსწავლე; საშუალო საფეხური დაძლია 255-მა კურსდამთავრებულმა. წინასწარი მონაცემებით მათგან ოთხ ათეულზე მეტი მედალოსანი გახდება. 2020 წლის ერთიან გამოცდებზე დარეგისტრირდა 179 კურსდამთავრებული. დიდი სურვილია, რომ ახალი, 2020-21 სასწავლო წელი კორონავირუსის გამო შექმნილი მდგომარეობის მიუხედავად დროულად დაიწყოს და

ნამედროვე სტანდარტების სკოლის მშენებლობა ბოლო ფაზაშია და ახალი სასწავლო წლიდან შევა ექსპლუატაციაში. ამ დღეებში მშენებლობის პროცესს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი თერჯოლის მერის მოვალეობის შემსრულებელ ლაშა გოგიაშვილთან ერთად გაეცნო. სკოლის ახალი შენობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი იქნება - გათბობის სისტემით, სააქტო დარბაზით, ბიბლიოთეკით, საბუნებისმეტყველო კლას - კაბინეტით. სკოლა იქნება



ბევრად უფრო ეფექტურად წარიმართოს ვიდრე ეს მიმდინარე წელს იყო. ნიშანდობლივია, რომ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ სიქთარვის ახალგაზრდები ახალ სასწავლო წელს სწავლას სკოლის ახალ შენობაში გააგრძელებენ. 150 მოსწავლეზე გათვლილი, თა-

ადაპტირებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის, მოეწყობა პანდუსები, ლიფტი, ადაპტირებული სველი ნერტილები, აღიჭურვება ახალი ინვენტარითა და ტექნიკით, ექნება თანამედროვე სტანდარტების ღია სპორტული მოედანი.

## კვახჭირის წყალსადენი—პრობლემები აღმოიფხვრება!

სოფელ კვახჭირის წყალმომარაგებაში არსებულ მწვავე პრობლემებზე ამ დღეებში განცხადება გააკეთა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიამ. განცხადებაში ნათქვამია, რომ კვახჭირის წყალმომარაგებაში არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების, ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურისა და მშენებელი კომპანიების მიერ სამუშაოები უკვე მიმდინარეობს. მერის მოვალეობის შემსრულებელმა ლაშა გოგიაშვილმა გამართა შეხვედრა გაერთიანებული წყალმომარაგებისა და მშენებელი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომელთა მიერ ადგილზე მოხდება წყალმომარაგების სისტემაში ყველა დარჩენილი ხარვეზის დეტალური შესწავლა და გამოსწორება. „კვახჭირში წყლის სისტემის

მოსაწყობად 2017-2018 წლებში 300 ათასი ლარი დაიხარჯა. სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიებმა შპს „ლა და კ“-მ და „ჯორჯიან პლასტიკმა“ აწარმოა და წყალი 520-მა ოჯახმა მიიღო. მიმდინარე წელს რამდენიმე უბანში მოხდა წყლის მიწოდების შეფერხება, რის გამოც მერიის სამსახურების, ა(ა)იპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურისა და მშენებელი კომპანიის მიერ უკვე თვეზე მეტია, მიმდინარეობს პროფილაქტიკური სამუშაოები ხარვეზების დადგენისა და აღმოფხვრის მიზნით. მიუხედავად სამუშაოების მიმდინარეობისა, კვახჭირის მოსახლეობის ნაწილმა წყლის მოთხოვნით აქცია გამართა. სწორედ ეს გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ აქცია იყო პოლიტიკურად ანგაჟირებული და ემსახურებოდა მოსახლეობის

ერთმანეთთან და ადგილობრივ თვითმმართველობასთან დაპირისპირებას. ამასთან, აქციას ორგანიზებას უწევდა „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ქუთაისის ფილიალის თავმჯდომარე იმისათვის, რომ „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ არ გახდეს მოსახლეობის სამართლიანი მოთხოვნების პოლიტიკური მიზნებით გამოყენების და საზოგადოებაში დესტაბილიზაციის შეტანის მცდელობის მონაწილე, ვთხოვთ საზოგადოების თავმჯდომარეს შეისწავლოს აქციის საკითხი. კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს საკითხის მოგვარებისათვის“, —ნათქვამია თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის განცხადებაში.

## თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

გაიმართა თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარე ნინო ჯანელიძე ხელმძღვანელობდა. დეპუტატებმა მუნიციპალიტეტის 2020 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში შესატან ცვლილებებთან ერთად თერჯოლის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტზე იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს აღნიშნულ პროექტებს. ასევე მხარდაჭერილია „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტით წარმოდგენილი საკითხები. სხდომას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლები.



## პასუხისმგებლობა გარემოსდაცვისათვის

გარემოზე ზიანის მიყენების შემსუბუქების და პრევენციის სამართლებრივი რეგულირებისთვის, საქართველოს მთავრობამ „გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ“ ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისი კანონპროექტი დაამტკიცა. ყველა საწარმო და არა მხოლოდ მსხვილ კომპანიებს, ექნებათ ვალდებულება, შეამცირონ და აღმოფხვრან გარემოსათვის მნიშვნელოვანი ზიანი. ახალ მექანიზმით გულისხმობს ზიანის ანაზღაურებას არა უბრალოდ თანხობრივად, არამედ ითვალისწინებს ზიანის შემცირება / აღმოფხვრის ღონისძიებების გატარებას. პირი, რომელმაც მოაყენა ზიანი გარემოს, თავად ხდება ვალდებული გასწიოს ხარჯი და გამოასწოროს ზიანის შედეგები. ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა, მთლიანად აგებული იყო გარემოსთვის მიყენებული ზიანისათვის მონეტარულ პასუხისმგებლობაზე. გარემოსთვის მიყენებული ზიანის სანაცვლოდ გადახდილი თანხა მიემართებოდა სახელმწიფო ბიუჯეტში და მას არა აქვს განსაზღვრული მიზნობრიობა, მოხმარდეს ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფს დაზიანებული გარემოს აღდგენას. ახალი კანონპროექტით, ზიანის ფულადი ანაზღაურების შედეგად გადახდილი თანხები მიმართული იქნება სპეციალურად შექმნილ ანგარიშზე, სადაც აკუმულირებული თანხები მოხმარდება დაზიანებული გარემოს აღდგენას. დაწესდება მაღალი საჯარიმო სანქციები იმ საწარმოებისთვის, რომლებიც ატმოსფერულ ჰაერს მავნე ნივთიერებებით დააბინძურებენ. კანონპროექტის მიღებით ჩამოყალიბდება ევროპულ სტანდარტებთან დაახლოებული გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის სისტემა, რომელიც დაეფუძნება „დამაბინძურებელი იხდის“ პრინციპს და რომლის მიზანია გარემოსთვის მიყენებული ზიანის პრევენცია და აღმოფხვრა / შერბილება.

## ზედა ალისუბანი—სკანდე ბეტონის გზით ერთდება

მკითხველს არაერთგზის ვაუწყებთ თუ რა ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება ჩვენს მუნიციპალიტეტში. ამჟერად, სოფლების—ზედა ალისუბანისა და სკანდის შემავრთბელი გზის მონაკვეთზე ბეტონის საფარის დაგების შესახებ გაცნობებთ. გვექონდა საშუალება ადგილზე გავცნობოდით სამუშაოებს. ინტერესი იმან უფრო განაპირობა, რომ ეს გზა ისტორიული, ძველი საქარაფო გზაა, IV საუკუნის ძველს სკანდის ციხე-ციტადელს გაუვლის და მესამეც—მშენებლობა პრინციპული ხასიათისაა. რა გაგებთ აქვე მოგახსენებთ: თავის დროზე, როცა ჩხარადან ზედა ალისუბანამდე ასფალტის შავი საფარი დაიგო გზა ამ უკანასკნელში ე.წ. დიაკონიძეების ლელემდე მოვიდა და იქ შე-

ჩერდა. საკმარისი იყო კიდევ 2 კმ-მდე მანძილის მოწყობა, რომ გზა მთლიანობაში დამთავრებულიყო და შეერთებოდა ქვედა ალისუბანიდან თავასა-მუჯირეთისაკენ მიმავალი ბეტონის გზას. რაღა იყო კაცო, ამ მონაკვეთის დატოვება, რა გაუჭირდათ ისეთი, თხის კუდზე დანა გადატყესო, რა ნათქვამი, ისე გამოვიდაო,—წუხ-

დნენ აქაური მცხოვრებლები. საბედნიეროდ, მუნიციპალიტეტის დღევანდელი, ახალი ხელისუფლების ძალისხმევით, გზის ამ მონაკვეთის მშენებლობა დაიწყო და საკმაოდ დიდი ნაწილი უკვე დამთავრებულია. ამ დღეებში ეს სამუშაოები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებ-



ბელმა ლაშა გოგიაშვილმა, მოადგილე მანუჩარ რობაქიძესთან, ამ თემში მერის წარმომადგენელ იაგო აბუჯანდაძესა და საკრებულოს დეპუტატ ბადრი ბუცხრიკიძესთან ერთად დაათვალიერა და მშენებელი ორგანიზაციის წარმომადგენლებისაგან პროექტის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია მიიღო. სამუშაოებს რეგიონული განვითარების ფონდიდან, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით, ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „მეკა“ აწარმოებს. პროექტი გარდამავალია და საერთო ჯამში 1,7 კმ გზის მოწყობაზე 531 790 ლარი დაიხარჯება. ალისუბანი-სკანდის დამაკავშირებელი გზაზე, რომლითაც რამდენიმე სოფლის მოსახლეობა

სარგებლობს, ბეტონი პირველად იგება. გზა ამორტიზებული იყო და ადგილობრივი მოსახლეობა მის რეაბილიტაციას ითხოვდა. როგორც ადრე ვწერდით, გზა რთულ, მცოცავ ქანებზე გადის და განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს, ფინანსურ უზრუნველყოფაზე რომ აღარაფერი ვთქვათ. როგორც მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა გ. თურქაძემ გაგვიმართა: პროექტი გარდამავალია, სოფელ ზედა ალისუბანში კი დასრულდება, მაგრამ სკანდის ტერიტორიაზე უკვე დაგებული ბეტონის გზას მომავალ წელს შეუერთდებაო—დაგვიამბედა მან.

# ახალ სამშობიარო სახლში მალე პირველი ბავშვი დაიბადება

2017 წლის ივნისში იმერეთის სამხარეო-სამედიცინო ცენტრის გახსნისას, მისმა დამფუძნებელმა ლადო კეკელიძემ თქვა, რომ „იმერმედში“ შესაძლებელი იქნებოდა მაღალკვალიფიციური და ხარისხიანი მომსახურება.

მას შემდეგ სამი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში „იმერმედში“ სტაციონალური მკურნალობა გაიარა 19215 პაციენტი, ამბულატორიული—30000 პაციენტი. ეს ციფრები ოფიციალური მონაცემია და ცხადია, სარწმუნო და მაშინდელ ნათქვამს დამაჯერებლობას აძლევს.

ცოტა მოგვიანებით, მანვე ისაუბრა სამომავლო გეგმებზე და განაცხადა: რომ მოგვარდებოდა პაციენტების კვების საკითხი და მოგვარდა. გაიხსნებოდა ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი და გაიხსნა, რომ ჩაერთვებოდნენ სამედიცინო მომსახურების მეორე დონეში, მოსახლეობას ექნებოდა სამედიცინო პროფილით ეფექტური და ხელმისაწვდომი სერვისის მიღების საშუალება...

## გამრავლით და გაიხარეთ...

თითქმის ათი წელია, თერჯოლაში სამშობიარო სახლი აღარ ფუნქციონირებს. გვენატრება „შამპანურის“ ბოთლებით ხელში, „ბებიაქალის“ მომლოდინე მომავალი მამები, ზოგი—მთვრალ, ზოგი—ფიზიკურ მდგომარეობაში. ხმამაღალ შეძახილებს—ბიჭია, ბიჭი, უფრო

არო სახლში ხომ პაციენტების მიმართ ყურადღებანიობა და კვალიფიკაცია იყო განმსაზღვრელი.

2017 წლის 7 ივლისი კიდევ ერთ მნიშვნელოვან თარიღად შევა „თერჯოლამედის“ და მთლიანად, თერჯოლის მუნიციპალიტეტის ისტორიაში. ამ დღეს ფუნქციონირება დაი-

წყოფს ორსულთა აღრიცხვას, კონსულტაციას, ორსულობის მთელი პერიოდის და მშობიარობის სწორად წარმართვას. აი ისინი: ქალთა კონსულტაციის გამგე და მორიგე მეანი ლალი გვეტაძე, მორიგე მეან-ექიმები: მაია ქარქაშაძე, იამესხი, სალომე თურმანიძე, ნეონატოლოგიური სამსახურის უფროსი, მორიგე ექიმი მაია კვეტენაძე, მორიგე ექიმი ნეონატოლოგები: ქეთი ჯულაყიძე, ინგა ქარქაშაძე, ბავშვთა ნეიროსონოსკოპისტი ნატო ბუბაშვილი, ბავშვთა კარდიოლოგი-მატოლოგი რუსუდან სვანაძე, ბავშვთა კარდიოლოგი-სკოპისტი თამაზ კაკუშაძე და აუცილებელი სხვა სამედიცინო პერსონალი. კლინიკაში შექმნილია ყველა პირობა მშობიარეთა კეთილდღეობის და განწყობაზე ზრუნვისათვის. ამასთან, სამშობიარო სახლის გვერდით იქნებიან „თერჯოლამედის“ სხვა ექიმებიც, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს მშობიარობის დროს.

## ორსულობიდან—მშობიარობამდე...

სამშობიარო გათვლილია, წლიურ 400 მშობიარეზე. არის 6 სამედიცინო და 2 სასწრაფო შესაძლო პათოლოგიურ ორსულთათვის, ახალშობილთა ინტენსიური მოვლის პალატა 2 სანოლზე. შესაძლო მძიმე შემთხვევების მკურნალობა ადგილზე წარმართება. სამშობიარო აღჭურვილია უახლესი, 2019 წლის აპარატურით. მშობიარე აქ მიიღებს ყველა იმ მომსახურებას, რაც გათვალისწინებულია საქართველოს და მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ, აქ არის ყველაფერი, რა მდგომარეობაც შეიძლება გაიაროს ქალმა ორსულობიდან მშობიარობამდე. ხელმძღვანელთა ინიციატივით, მშობელი და ჩვილი კლინიკაში ყოფნის პერიოდში, უზრუნველყოფილი იქნებიან ჰიგიენური საშუალებებით და სამჯერადი კვებით, ხოლო ბინაზე განერისას, გადაეცემათ სასაჩუქრე ნაკრები ახალშობილთა ზრუნვაზე ხელმძღვანელების მიზნით.

## დაბადების საიდუმლო, მარადიული და შეუცნობელი

გახსნამდეც, სრულად მონყობილი და დაკომპლექტებული იყო სამშობიარო, მაგრამ მსოფლიოსა და ჩვენი ქვეყნის პანდემიის პირობებში, გახსნა გადაიდო, მაგრამ, პაციენტები, მომავალი დედები აქ მაინც მოდიოდნენ საკონსულტაცი-

ციოდ. მუდმივი დაკვირვების ქვეშ არიან ნანა საცერაძე და თინათინ კუპატაძე, ორივე მეორე შვილს ელოდება, ორივემ პირველი შვილი სხვა რაიონში გააჩინა და ახლა თერჯოლის სამშობიარო სახლში მოავლენენ ახალ სიცოცხლეს, იქნებ მანამდე პირველობა სხვებმა მიიღოს!

\*\*\*

მქონე, გულისხმიერ და სანდო ექიმს მიაჩნია, ერთმანეთთან კონსულტაცია, ერთმანეთის გამოცდილების შეჯერება. მნიშვნელოვანია, პაციენტთან ურთიერთობაში, 3-4 წუთი შეიძლება სიცოცხლის გადასარჩენად გადამწყვეტი იყოს...

ახლა მთავარია, „თერჯოლამედის“ ხელმძღვანელთა ძალისხმევას, სამშობიარო



მოკრძალებულ ნათქვამს, გოგო-გოგო, ღამის სიმყუდროვე აღარ დაურღვევია. რედაქციის თანამშრომლებს გვქონდა ბედნიერება, საახალწლო ნომრის პირველი გვერდის „დასამშვენებლად“ პირველი იანვრის პირველ წუთებში დაბადებული ახალშობილის რამდენიმე ჩანანერი, ჩვილის ზომა-წონა მშობლებზე ადრე გაგვეგო და ფოტოც გადაგვეღო, ასე იქნება მომავალშიც, ჩვენ ერთად ვიზეიმებთ პირველი ბავშვის დაბადებას ახალ სამშობიარო სახლში.

წყო სამშობიარო სახლმა, სადაც თერჯოლელ და იმერეთის რეგიონში მცხოვრებ ქალბატონებს უკვე შესაძლებლობა აქვთ, მიიღონ სრული სამედიცინო-გინეკოლოგიური მომსახურება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში. სამშობიარო სახლის ნეონატოლოგიური სამსახური უზრუნველყოფს 34 კვირის ზევით ახალშობილთა სრულ ნეონატოლოგიურ-ინტენსიურ მომსახურებას.

\*\*\*  
სამშობიარო სახლი დაკომპლექტებულია მონეულები, მა-



ახალშობილთა სპეც მოვლის პალატა

კლინიკაში არსებობს სახელმწიფო სტანდარტით დანესებული გადასახადი. მის ზემოთ აქვერვინ გაბედავს მიიღოს საჩუქარი, ე.წ. „სამახარობლოც“ კი. ასეთია განწყობა ხელმძღვანელობაში.

\*\*\*  
ჩვეულებრივ პირობებში, საჭიროების დროს, სხვა დამხმარე ექიმის გამოძახება ზრდის ფასს, მაგრამ აქ არც ეს იქნება,

სახლში დასაქმებულ თანამშრომელთა კვალიფიკაციას, სიტბოს და სიყვარულს, რომელსაც გამოიყენებენ, ვუპასუხოთ ერთიანობით, რწმენით, რომ ყველაფერი გაკეთდება დედებისა და მათი შვილების ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად. გავითავისოთ, რომ ასრულდა ქალთა ნანატრი ოცნება, აქ, მხოლოდ აქ უნდა გაიხსნას ახალშობილთა ტირილი,



სამედიცინო საოპერაციო ბლოკი

\*\*\*  
თერჯოლის სამშობიარო სახლის მონატრება ჰქონდათ თერჯოლელ და არა მარტო თერჯოლელ ქალებს, აქ სხვა რაიონებიდანაც დადიოდნენ საკონსულტაციოდ და სამშობიაროდ. თერჯოლის სამშობი-

არსების საიდუმლო, მარადიული და შეუცნობელი  
ლაღკვალიფიციური სპეციალისტებით თბილისიდან, ქუთაისიდან და სხვა ქალაქებიდან, აქ არიან ადგილობრივი, ასევე გამოცდილი და ყველასათვის ნაცნობი სპეციალისტები. სამშობიარო სახლის 32 თანამშრომელი უზრუნველ-



ნეონატოლოგიური მოვლის პალატა

რადგან მორიგე მეან-გინეკოლოგს, ყოველთვის ადგილზე ეყოლება მეან-გინეკოლოგი, სამშობიარო სახლის უფროსი, ექიმი მინდია კობალეიშვილი. მას, მაღალი კვალიფიკაციის, დიდი გამოცდილების

აქ უნდა შევიგრძნოთ ახალი სიცოცხლის დაბადება.  
სამშობიარო სახლი კი, ტაძარს გადააყურებს, აქედან მივაპყროთ მზერა მომავალს...

შუშუნა ცხადაძე



# სამოქალაქო ბიუჯეტი

## „მონანილეობითი ბიუჯეტი—გზა დემოკრატიისაკენ“

საზოგადოების ჩართულობა მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტის პროცესში დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია. ამ მიზნის მისაღწევად საუკეთესო სფეროა თვითმმართველობის ფინანსური პოლიტიკის ფორმირება და მისი მეშვეობით მუნიციპალიტეტის ან ქალაქის განვითარების მიმართულების განსაზღვრა. ამის საშუალებას იძლევა სამოქალაქო (მონანილეობითი ან პარტიციპატიული) ბიუჯეტი.

სამოქალაქო ბიუჯეტის იდეა ჯერ კიდევ 1989 წელს ბრაზილიის ქალაქ პორტუ-ალეგრიში დაიბადა და რამდენიმე წელია, ინტენსიურად ვითარდება პოლონეთსა და უკრაინაში, ხოლო 2015 წლიდან უკვე საქართველოშიც. მარნეულის მუნიციპალიტეტის გარდა, სამოქალაქო ბიუჯეტი დაინერგა: ქ. გორში—2016 წლიდან, ხოლო 2018 წელს—მთლიანად გორის მუნიციპალიტეტში; საჩხერისა და ბორჯომის მუნიციპალიტეტებში—2017 წელს, ქალაქ წყალტუბოში—2018 წელს.

მსოფლიოში არსებობს სამოქალაქო ბიუჯეტის სხვადასხვა მოდელი, ყველა მათგანი მიმართულია სახელმწიფო სახსრების განაწილებაში მოსახლეობის ჩართულობის გაზრდაზე. ეს შეიძლება იყოს დაწესებულების (სკოლის ან კულტურის ცენტრის), რაიონის, ქალაქის, რეგიონის, მუნიციპალიტეტის ან, მთელი ქვეყნის ბიუჯეტი.

სამოქალაქო ბიუჯეტი გრძელვადიანი და მუდმივი პროცესია, სადაც მოქალაქეები განსაზღვრავენ პრობლემას, პრიორიტეტებს და გამოვლენილი პრობლემების მოსაგვარებლად წარმოადგენენ საკუთარ პროექტს. პროექტებს ირჩევენ ადგილობრივი მოსახლეობა, ხოლო ახორციელებს ადგილობრივი ხელისუფლება.

თუმცა, სამოქალაქო ბიუჯეტი არ არის მხოლოდ მოსახლეობის მიერ წარმოდგენილი პროექტების განხორციელების „მშრალი“ პროცესი, ეს არის მოსახლეობის ჩართულობით თვითმმართველობის განვითარების ადგილობრივი პოლიტიკის ერთ-ერთი ინსტრუმენტი. დისკუსიის პროცესში მოქალაქეები მონანილეობენ როგორც „თავიანთი საქმის ექსპერტები“, აყალიბებენ თავიანთი საჭიროებებს და განიხილვენ თემის პრიორიტეტებს მისი საერთო კეთილდღეობის თვალსაზრისით. სამოქალაქო ბიუჯეტი მონანილეობის სხვადასხვა ფორმის (საჯარო კონსულტაციები, შეხვედრები, საჯარო მისემენები, პროექტების თვითობლივი დაგეგმვა, მრჩეველთა საბჭო და სხვა) გაერთიანების საშუალებას იძლევა, რომელიც უნდა განხორციელდეს ურთიერთქმედების საფუძველზე. ამიტომაც სამოქალაქო ბიუჯეტი უნდა იყოს განხილული, როგორც თვითმმართველობის ფუნქციონირების გაუმჯობესების ელემენტი, რომელიც ეფუძნება ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის ურთიერთგაგებას და თანამშრომლობას.



პრაქტიკითა და კვლევებით დადასტურებულია, რომ სამოქალაქო ბიუჯეტის დანერგვა მნიშვნელოვანი შედეგის მომტანია. კერძოდ: —გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართვა იძლევა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის უკეთეს და ეფექტურ მართვის საშუალებას; —ეს არის ქმედებების ოპტიმიზაცია, პრიორიტეტების საუკეთესო განსაზღვრა, დროის და ფულის დაზოგვა;

—საჯარო კონსულტაციები არის ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების შესწავლის და მათზე პასუხების გაცემის უფრო ეფექტური გზა;

—კარგად ჩატარებული საინფორმაციო კამპანია, ეს შეიძლება იყოს ხელისუფლების ქმედებების რეკლამა. პროცესის მიმდინარეობისას, ხშირია მოსახლეობის მიერ მონოდებული ახალი, ინოვაციური გადაწყვეტილებები. სამოქალაქო ბიუჯეტი ასევე:

—გავლენას ახდენს ხელისუფლების ქმედებებზე, ნდობის და კმაყოფილების გაზრდაზე;

პროექტის „მონანილეობითი ბიუჯეტი—გზა დემოკრატიისაკენ“ ფარგლებში პირველი საქმიანი შეხვედრა-ტრენინგი გაიმართა 26 ივნისს მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთის ბაზაზე საჯარო მოხელეების-მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი მუშაკებისათვის.

ტრენინგის თემატიკა მოიცავდა სამოქალაქო ბიუჯეტების არსს, მონანილეობითი ბიუჯეტების ეტაპებს და ამ კუთხით არსებულ როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ პრაქტიკას, მოსახლეობის აქტიურ ჩართვას ადგილობრივი პრობლემების მოგვარებაში.

ტრენინგს წარმართავდა „კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდ „სოხუმი““ წარმომადგენელი ემა კამკია (ტრენერი), რომელმაც მონანილეობდნენ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი ლაშა გოგიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ჯანელიძე თავიანთი მოადგილეებთან, ასევე მერიის სამსახურების ხელმძღვანელები და საკრებულოს დეპუტატები, ფრაქციებისა და კომისიების ხელმძღვანელები. თერჯოლის მუნიციპალიტეტში ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საჯარო მმართველობით რეფორმაში მოქალაქეთა ჩართვა სირთულეს წარმოადგენს და ითხოვს თვითმმართველობის მხრიდან არსებულ და მნიშვნელოვან ძალისხმევას. თვითმმართველობა ცდილობს, თავის შესაძლებლობებით თავი გაართვას მოქალაქეთა საჯარო ჩართულობის დონეზე არსებულ მწვავე გამოწვევებს. პროექტის ფარგლებში ჩატარებულ ტრენინგზე გამოიკვეთა მზაობა და სურვილი, ამ მიმართულებით ახალი ცოდნის მიღების, რადგან თვითმმართველობას ეკისრება არა მხოლოდ ყოველდღიური საქმიანობის წინამძღოლობა, არამედ პასუხისმგებლობა მომავლის დაგეგმვაში, რომელიც მოქალაქეებთან უშუალო თანამშრომლობით უნდა განხორციელდეს. იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს მოქალაქეთა ჩართულობას, პროექტის ხელმძღვანელთა მიერ შეირჩა 2 სამიზნე ჯგუფი, რომლის ბენეფიციარები არიან საჯარო მოხელეები და მოქალაქეები (ახალგაზრდები, კერძო მენარმეები, რიგითი მოქალაქეები, დაინტერესებული პირები. 40 ადამიანი მიიღებს ცოდნას სხვადასხვა აქტივობებში, პირდაპირ ჩართული იქნება და მიენოდება ინფორმაცია მონანილეობით ბიუჯეტში მოქალაქეთა ჩართულობის უფლების, მოვალეობების შესახებ,

ელექტრონული სერვისების გამოყენების შესახებ 105 ადამიანს. მუნიციპალიტეტის მოსახლეობა მედიის საშუალებით მიიღებს ინფორმაციას საჯარო რეფორმის საკითხებზე, რაც ხელს შეუწყობს სამოქალაქო ჩართულობის გაზრდას.

მონანილეობით ბიუჯეტებში აუცილებელია ცოდნა, პრაქტიკულად იმ მუნიციპალიტეტის მუშაობის გაზიარება, სადაც ამ მიმართულებით გარკვეული მუშაობა უკვე ჩატარებულია და მიღწეული შედეგი—ეფექტიანი.

ტრენინგი, რომელიც მოიცავდა მინი ლექციას, პრეტესტს, დისკუსიას, ჯგუფურ სამუშაოს, საინტერესოდ წარმართა. იყო საქმიანი წინადადებები, მოსაზრებები და რაც მთავარია, საჯარო მოხელეთა მზაობა თერჯოლის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო ბიუჯეტის, ანუ მონანილეობითი ბიუჯეტის ფორმირება-შედგენისა მოქალაქეთა ჩართულობით, ყველა საჭირო ტრენინგებისა თუ პრაქტიკული აქტივობების გათვალისწინებით.

პროექტის „მონანილეობითი ბიუჯეტი—გზა დემოკრატიისაკენ“ ფარგლებში 3 ივნისს გაიმართა სამოქალაქო აქტივობა თემაზე—„მოქალაქეთა მონანილეობა თვითმმართველობის განხორციელებაში—სამოქალაქო ბიუჯეტის რეფორმის მონანილეობითი დემოკრატიის მოდელი“.

შეკრების ადგილი, ისევე ღია სივრცე—მოსწავლე-ახალგაზრდობის მუნიციპალური ცენტრის საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთის ბაზა, ტრენინგი ამჯერადაც ფონდ „სოხუმის“ წარმომადგენელი ემა კამკია...

მოქალაქეთა 20 კაციანი ჯგუფი, რომელშიც სხვადასხვა სფეროს, განათლების, ასაკის და ა.შ. ადამიანია გაერთიანებული, ინტერესითა და ყურადღებით ჩაერთვნენ ტრენინგის მუშაობაში. მინი ლექციიდან სამოქალაქო ბიუჯეტის შესახებ, მათ მიენოდათ



ცოდნა, მონანილეობით ბიუჯეტში მოქალაქეთა ჩართულობის უფლების, მოვალეობების შესახებ, პრიორიტეტებისა და ეტაპების და ა.შ. იყო პრეტესტი, ჯგუფური მუშაობა, დისკუსია. თითოეული მათგანი იყო აქტიური. ჰქონდათ მოტივაცია საკითხის ირგვლივ მეტი ცოდნის მიღებისა. წინ საინტერესო მუშაობა ელოდებოდათ, პროექტის ფარგლებში გაიმართება სიმულაციური აქტივობა, იქნება გამოცდილების გაზიარება, მრავალი მაგია...

პროექტით გათვალისწინებულია სულ 105 ადამიანის ჩართვა, ტრენინგში ჩართულია 2 მიზნობრივი ჯგუფი (თვითმმართველობის და მოქალაქეების 40 ადამიანი), სხვა აქტივობებში ჩაერთვება

65 ადამიანი და მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ პროექტი ემსახურება ცნობიერების ამაღლებას სამოქალაქო ბიუჯეტების საკითხებზე, რაც ხელს შეუწყობს მონანილეობითი ბიუჯეტის პროცესების დამკვიდრებას. ადგილობრივი თვითმმართველობის კარგი მმართველობის განხორციელების ერთ-ერთი ინოვაციური მოდელია, აღმასრულებელ ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის დემოკრატიული დიალოგისა და გადაწყვეტილების მიღების ეფექტიანი პროცესის განხორციელება.

სამიზნე ჯგუფების ინტერესთა სფერო ერთი მიზნისკენაა მიმართული, თუმცა, საჭიროებები განსხვავებულია. საჯარო მოხელეებისათვის აუცილებელია სამოქალაქო ბიუჯეტების პროცესის განხორციელების დაწერვისათვის სათანადო ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილების გაცნობა მონანილეობითი დემოკრატიის მოდელის შესაქმნელად, რაც ხელს შეუწყობს ანგარიშვალდებულების გაზრდას და თვითმმართველობის დაახლოებას საზოგადოებასთან, რაც აუმჯობესებს დემოკრატიულ მმართველობას სახელმწიფოში, მოქალაქეთა ჩართულობას თვითმმართველობის საქმიანობაში ადგილობრივ დონეზე. საჯარო მმართველობის რეფორმის გატარების ხელშეწყობისათვის მოქალაქეებს სჭირდებათ გათვითცნობიერება საკუთარი უფლებების, შესაძლებლობების, მონანილეობის, ჩართულობის კუთხით.

საჯარო რეფორმა, დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის ხანგრძლივი გამოწვევაა და მისი განხორციელება ქვეყანას ნაბიჯ-ნაბიჯ აახლოებს ევროკავშირის კანონმდებლობასთან; სამოქალაქო ბიუჯეტის დანერგვა მომავლის ის პროექტია, რომლის სავალდებულო განხორციელება აუცილებელი პირობა იქნება დემოკრატიის განვითარების ხელშეწყობაში.

აღნიშნული პროექტის განხორციელება თერჯოლის მუნიციპალიტეტში განსაზღვრავს მის წარმატებით დანერგვისათვის მზაობას, ვინაიდან ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან სწორედ მონანილეობითი ბიუჯეტების საკითხის შესწავლა და დანერგვა წარმოადგენს ინტერესთა სფეროს, ადასტურებს მათ მზაობას, რომ მუნიციპალიტეტი სწორედ ამ სახელების დანერგვას განახორციელებს მომავალში, მოქალაქეთა გათვითცნობიერება კი ამ პროცესის განხორციელებას შეუწყობს ხელს.

მომავლად მინი ციფურიზმი

### მშენებლებმა ამორტიზებული ე.წ. „შრომის სასახლის“ დემონტაჟი დაამთავრეს...

მალე აქ ახალი, წვრილა „იუსტიციის სახლის“ აგებას შეუდგებიან.

ხალა-ხალა, ჩემო თერჯოლა, ეს ერთი და სხვა მრავალი... ჩავინიშნოთ 13 ივლისი. 2020 წელი.

ამ უნიკალურ ფოტოს ერთჯერ კიდევ ვიხილავთ ჩვენს გაზეთში უკვე ახალი იუსტიციის სახლის გვერდით.



### თავიდან ავიცილოთ მზის დაკვრა, რაც „მზის დაბნელებას“ იწვევს...

ზაფხული რომ არაჩვეულებრივად ცხელი გვექნებოდა ეს ცხელი ამბავი არ იყო. სინოპტიკოსები და ექიმები ადრევე გვავრთხილებდნენ და გვამზადებდნენ ამისთვის... თუმცა თუ ასე გავარდებოდა ოქროსფერი დისკო ნამდვილად არ გვეგონა. ჩვენმა კოლეგა-მემატიანემ ჯერ კიდევ ათასხუთასი წლის წინ ხატონად დააფიქსირა, რომ თურმე „ქარნი ხორშაკნი და ცეცხლებერ შემწული მხურვალეზაი მზისაი“ მაშინაც აწუხებდათ ჩვენს წინაპრებს...

ეს ისტორიული ექსკურსი ახლა არაფერს ცვლის, უბრალოდ სიტყვას (კალამს) მოყვა და იმაზეც გვიმახვილებს ყურადღებას, რომ ჩვენმა წინაპრებმა თუ გაუძლეს, ჩვენც უნდა გაუძლოთ! მიუთუქტეს მეტი ტექნიკური, სამედიცინო და ა.შ. შესაძლებლობები გაგვანია ამისთვის.

თანაც, ვაი-ვოი და წუხილი ვერანაირ შვებას ვერ მოგვიტანს. მთავარია მზისგან შორს დავიჭიროთ თავი!

მოგახსენებთ გადადებული საქმე არ ვარგა, მაგრამ ადამიანისთვის ყოველნაირ საქმეზე მეტად სიცოცხლე რომ „ვარგა“ ეს ფაქტია—ამიტომ დღის საკეთებელი საქმე ვაკეთოთ მხოლოდ დილით და საღამოს, მაინცდამაინც თაკარა სიცხეში (როცა მზე ზენიტშია) ნუ გამოვქექავთ საზრუნავ-საფიქრალს...

შედარებით შორს დაიჭირეთ თავი ღვინო-არაყისა და სიგარეტისაგან... (გახსოვდეთ, რომ სიგარეტის კოლოფს მხოლოდ ვალის-მოხდის მიზნით როდი ანერია—სიგარეტი კლავს!)

თუ რამ სანერვიულო გაქვთ, შეძლებისდაგვარად ეს „საქმეც“ სხვა დროისთვის გადადეთ.

იყავით ფხიზლად: აღმოდებული კანი, თავის ტკივილი, თავბრუსხვევა, ძლიერი სისუსტე, მომატებული აგზნებულობა, ცნობიერების დაბინდვა და კოორდინაციის დარღვევა, ტემპერატურის მომატება და ა.შ. ცუდის მომასწავებელი სიმპტომებია და ნუ დაიწყებთ მარჩიელობას—ექიმს სასწრაფოდ მიმართოთ თუ არა!

ეს რჩევები ამ სტრიქონების ავტორის (ნუგზარ გამყრელიძე) მოგონილი არ არის, სანდო სამეცნიერო-სამედიცინო ლიტერატურიდან არის ამოწერილი.

თუ მაინც მოგონებთ მზეზე გასვლა, ეცადეთ ღია ფერის ტანსაცმელი მაინც ჩაიცვათ. ქუდი აუცილებლად გეხუროთ (არა უშავს მისალმების დროსაც თუ არ მოიხდით...).

დღის განმავლობაში მიიღეთ 1,5-დან 2,5-მდე ლიტრი სითხე. სითხე (მაგრამ, არა ალკოჰოლი)...

ასე დავეჯაბნით მზის ონავრობას.

### ჭრელი პეპელას ოდისეა



დაფრენს, დაფარფატებს... ხან რომელ ყვავილს მიუალერსებს, ხან—რომელს. პანია საცეცებით გემოს უსინჯავდეს თითქოს...

დაფრენს. ფრენაშია მისი ხან-მოკლე ცხოვრების აზრი და ბედნიერება. მხოლოდ ერთი დღით, იქნებ ორი დღითაც სტუმრობს ამ წუთისოფელს... იმშვენებს გუდიაშვილისა თუ გოიას მიერ მოხატულ კაბებს, ბოშა ქალები რომ იცვამენ ხოლმე თავიანთ საველე მასკარადებზე.

ჭრელო პეპელა, ნურც გაფრინდები...

დები, ნურც მოფრინდები...


იფრინე ნელ-ნელა... საით მიგეჩქარება?

არ მინდა შენი თავი რომ წამართვან ქარებმა...

### წარმოდგენილი სახუმარო ნახატები ჩვენი ერთ-ერთი ჟურნალისტის „კალამს“ ეკუთვნის



ტელევიზორის შემკეთების მოლოდინში




მოგონებანი გარდასულ დღეთა...




ერთი სკამის ორი მეპატრონის შემფოთება მესამის მოლოდინში



ეს ჩემი ყურით გავიგონე „მარშრუტკაში“



დროზე გამოვასწარი კორონას...



—მი... შველ...ეთ...  
—რომელი ხარ, რომელი?



„თერჯოლა“ ჩემი გაზეთია.



